საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/329 " 27 " დეკემბერი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის უფლებამოსილება საქმეთა განაწილების პროცესში

1. სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეს აქვს ელექტრონული სისტემის მეშვეობით მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობის ხედვის შესაძლებლობა.

2. ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას, სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე უფლებამოსილია გაანაწილოს საქმეები რიგითობის წესით, რაც გულისხმობს მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილებას საქმეთა შემოსვლის რიგისა და მოსამართლეთა გვარის ანბანური რიგითობის მიხედვით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით საქმეები ნაწილდება იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული სისტემის შეფერხების ხანგრძლივობა აღემატება 2 დღეს, გარდა დაუყოვნებლივ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებისა, ასევე იმ საქმეებისა, რომელთა განხილვის ვადა 24, 48 ან 72 საათია. აღნიშნულ საქმეებს სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე ანაწილებს, თუ ელექტრონული სისტემის შეფერხების ხანგრძლივობა აღემატება სამ საათს.

4. სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების შესახებ ატყობინებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, რაც ფორმდება შესაბამისი აქტით.

5. ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების აღმოფხვრას უზრუნველყოფს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, რის შესახებაც ინფორმაციას წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეს.

6. ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების აღმოფხვრისას, სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართავს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც აღინიშნება ინფორმაცია თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის მიერ განაწილებულ საქმეთა შესახებ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმირების შემდეგ, სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე უზრუნველყოფს რიგითობის წესით განაწილებულ საქმეთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას შემდეგი აღნიშვნით: „ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე“.“;

ბ) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მოსამართლე ვალდებულია შვებულებაში, მივლინებაში გასვლამდე არანაკლებ 5 დღით ადრე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარადგინოს შესაბამისი განცხადება, ხოლო დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეს.“;

ბ) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ელექტრონულ სისტემაში ნებისმიერი ხარვეზის წარმოშობისას, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ წესით, სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე უფლებამოსილია გაანაწილოს საქმეები რიგითობის წესის დაცვით. ამ შემთხვევაში გამოიყენება ამ წესის მე-6 მუხლით დადგენილი წესი.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი